საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #28

2019 წ. 23 ივლისი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
მ.ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის, სარევიზიო კომისიის, კულტურისა და განათლების კომისიის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები და წარმომადგენლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (#12-031920332-03 22.07.2019წ.)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc- ფონდს"-ს შორის, „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში, გაფორმებელი გრანტის ხელშეკრულებში" ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (№12-031917959-03 28.06.2019)

მოისმინეს:

დედაქალაქის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" პროექტი წარუდგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში" სახსრებიდან, პროექტის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად" განხორციელებისთვის გრანტის სახით მისაღები 159,4 ათასი ლარის ასახვის აუცილებლობასთან. ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ააიპ „Rockeffeler Philanthropy advisors, Inc- ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში, რაც ითვალისწინებს 2019 წელს დამატებით 9,6 ათასი ლარის მიღებას.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 169,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 270,8 ათასი ლარით.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc." მიერ დაფინანსებული პროექტის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი.

წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს (შემდგომში „გრანტის მიმღები") და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc." (შემდგომში "RPA"-ად ხსენებული) შორის (ერთად წოდებულნი როგორც - მხარეები) RPA-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" (შემდგომში "100RC" ან "პროექტად" მოხსენიებული) ფარგლებში (ერთობლიობაში, RPA/100RC), გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წინამდებარე ხელშეკრულებით გრანტის მიმღები და RPA თანხმდებიან შეიტანონ ცვლილებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ააიპ „Rockeffeler Philanthropy Advisors, Inc - ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში 2017 წლის 15 აგვისტოს გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს:

1. ხელშეკრულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა. <u>პირდაპირი დაფინანსება</u> - სამი წლის განმავლობაში, გრანტის მიმღები მედეგობის საკითხებში მერის მრჩევლის პოზიციისათვის ხელფასის გადასახდელად მიიღებს 144 000 ლარამდე (2017 ივლისიდან -2019 ივნისის ჩათვლით - 124 800 ლარი, 2019 ივლისიდან - 2020 ივნისის ჩათვლით - 19 200 ლარი, ამავე პერიოდში ხელფასის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება სრულად მოხდება „გრანტის მიმღების" მიერ) პირდაპირ დაფინასებას. პირდაპირი დაფინანსების ზუსტი ოდენობა განისაზღვრება მას შემდეგ, რაც გრანტის მიმღები მედეგობის საკითხებში მერის მრჩევლის რეზიუმეს და ანალოგიური პოზიციების ხელფასების დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარადგენს და RPA/100RC განიხილავს შერჩეულ კანდიდატს, მის ხელფასს. მედეგობის

საკითხებში მერის მრჩევლის თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით (დანართი N3), მის მოვალეობებში შედის მუნიციპალიტეტის მედეგობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მართვა, ასევე, მომსახურების და ტექნიკური მხარდაჭერის კოორდინირება მასთან მიმაგრებულ ასოცირებულ დირექტორთან (შემდგომში "AD") და RPA/100RC-თან თანამშრომლობით. მედეგობის საკითხებში მერის მრჩევლის მუშაობის ეფექტურობის გაზრდისთვის, მნიშვნელოვანია მისი პოზიცია იყოს სალიდერო, რომელსაც ადგილობრივი მერი ან მისი ადგილობრივი ექვივალენტი სრულ მხადაჭერას გამოუცხადებს. ქალაქის მიერ მომზადებული ორგანიზაციული სტრუქტურის სავარაუდო მონახაზი, სადაც ილუსტრირებულია მედეგობის საკითხებში მერის მრჩევლის და ქალაქის მმართველობით სტრუქტუტაში მომუშავე პერსონალის იერარქიული პოზიცია, მოცემულია დანართში N4."

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს.

სხდომაზე განხილული საკითხები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე